საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარაიანი (კ ა რ ა პ ე ტ ი ა ნ ი) ოვანეს

კარაიანი (კ ა რ ა პ ე ტ ი ა ნ ი) ოვანეს (5. X. 1915, თბილისი, – 1985, იქვე), პოეტი. სწავლობდა საქართვ. სამხატვრო-პედ. სასწავლებელში. წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისში გამომავალი სომხურენოვანი გაზ. „სოვეტაკან ვრასტანის" (შემდეგ „ვრასტანი") რედაქციაში. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი. კ-ს ეკუთვნის ლექსების 11 - კრებული, მათგან ორი – „ლექსები" და „ჩემი ქართული" – ქართულ ენაზე. სომხურად თარგმნილი აქვს დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილისა და სხვა პოეტების ლექსები. კ-ს ეკუთვნის შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის" პირველი სრული პოეტური თარგმანი სომხ. ენაზე, რ-იც 1983 გამოვიდა თბილისში. კ-ს ამ თარგმანისათვის 1985 ივანე მაჩაბლის სახ. პრემია გადაეცა.

ს. არაქელიანი